N 277 15/08/2018

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი 10

დ. ჩოხატაური **10 აგვისტო, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე,ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე,ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე.

არ ესწრებოდა: ლევან ლომინეიშვილი, გივი თავაძე, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ლელა მდინარაძე- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი.

გიორგი ბერძენიშვილი- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

ანა თავართქილაძე, ლია ჩხიკვაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ “.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ლია ჩიგოგიძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ “.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> აკაკი ყაჭეიშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)ი.პ კომუნალურ სამსახურს ,,სხივს“ აქვს ვალდებულება კურორტ ბახმაროში და დაბის ტერიტორიაზე ამოიღოს დასუფთავების მოსაკრებელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისაგან და ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხები შესაბამისად არ არის ასახული, ამიტომ, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს შეუმცირდეს სუბსიდია 50, 0 ათასი ლარით და პროექტით გათვალისწინებული 80,0 ათასი ლარის ნაცვლად გაეზარდოს 30,0 ათასი ლარით, ხოლო ა(ა)ი.პ. კულტურის ცენტრს, რომელსაც შეუძლია ზაფხულის პერიოდში ჩატარებული კულტურული ღონისძიებების შედეგად გაზარდოს შემოსავლები, შეუმცირდეს სუბსიდია 50,0 ათასი ლარით და პროექტით გათვალისწინებული 100,0 ათასი ლარის ნაცვლად გაეზარდოს 50,0 ათასი ლარით.

კომისიის წინადადებით, ადგილობრივი შემოსავლების გეგმა შემცირდეს 100,0 ათასი ლარით.

ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ შეთანხმების საფუძველზე სოციალური კუთხით ბიუჯეტში უნდა დამატებულიყო 25,0 ათასი ლარი. გთხოვთ, ესეც გაითვალისწინოთ წარმოდგენილ ბიუჯეტში.

ზაალ მამალაძემ აღნიშნული ცვლილებებით კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

II საკითხი: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მოისმინეს:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ უკვე წარმოდგენილ ვარიანტს დაემატა 2 პროექტი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯვარცხმის უბანში სავალი ნაწილის აღდგენა და სოფელ შუა ამაღლების კულტურის

სახლის შენობის რეაბილიტაცია, რომელიც უნდა შევიტანოთ ნუსხაში. ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ბიუროს სხდომაზე ვლადიმერ სიხარულიძის წინადადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პროექტების ნაწილი შეიძლება გაკეთდეს 2018 წელს, ნაწილი კი შემდგომ წლებში. აქედან გამომდინარე, კენჭისყრაზე ვაყენებ საკითხს განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

III საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ “.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ “.

მომხსენებელი:ლელა მდინარაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ მისი ინიციატივით ბიუროს სხდომაზე განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ ამოვიღოთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების

ნუსხიდან მწვანე ნარგავები. აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ პროექტს.

ზვიად მამალაძე- ლოგიკურია ნარგავების ამოღება ნუსხიდან, მაგრამ აკრძალვის მიუხედავად, ვინც გააკრავს სააგიტაციო მასალას ნარგავებზე, მათზე გატარებული იქნას კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 26 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს ყველა წევრს , რომ არაუგვიანეს სექტემბრის თვისა, ყველა დეპუტატმა წარმოადგინოს წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომ შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს სახელით წარმოადგინოს ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა